



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო  
პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან“ და „სწავლის  
სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ

ბიოსამედიცინო ინჟინერია და სამედიცინო ინფორმატიკა  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 14. 06.2023-06.06.07

წარდგენის თარიღი - 09.08.2023

თბილისი

## შინაარსი

|                                                                                              |    |
|----------------------------------------------------------------------------------------------|----|
| I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....                                        | 4  |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....                                  | 5  |
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....                                  | 7  |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... | 7  |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....     | 15 |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....                                    | 19 |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....                                                   | 21 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....                                       | 28 |

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

|                                                                              |                                                                         |
|------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მიითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი -<br>საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი                                           | 211349192                                                               |
| დაწესებულების სახე                                                           | უნივერსიტეტი                                                            |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

|                                                          |                                                                                                 |
|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხათუნა საგანელიძე, ნიუ ვიჟენ<br>უნივერსიტეტი, საქართველო                                        |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | ელენე ჩერქეზია, ივანე ჯავახიშვილის<br>სახელობის თბილისის სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                                                                 |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                                                                 |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                                                                 |

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|                                                                                                                                                                                                                                                                   |                                                                                                              |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)                                                                                                                                                                                                                  | ბიოსამედიცინო ინჟინერია და სამედიცინო ინფორმატიკა                                                            |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)                                                                                                                                                                                                                | Biomedical Engineering and Medical Informatics                                                               |
| უმაღლესი განათლების საფეხური                                                                                                                                                                                                                                      | მაგისტრატურა                                                                                                 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>                                                                                                                                                                                                                            | ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი                                                                            |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი                                                                                                                                                                                                                                | 0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე, არაკლასიფიცირებული                                                        |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>                                                                                                                                                  |                                                                                                              |
| სწავლების ენა                                                                                                                                                                                                                                                     | ქართული                                                                                                      |
| ECTS კრედიტების რაოდენობა                                                                                                                                                                                                                                         | 120                                                                                                          |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობითი აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)                                                                                                      | აკრედიტებული<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება N 51 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) |                                                                                                              |

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

სამაგისტრო პროგრამა „ბიოსამედიცინო ინჟინერია და სამედიცინო ინფორმატიკა“ ამზადებს სპეციალისტებს ბიოსამედიცინო ინჟინერიის და სამედიცინო ინფორმატიკის დარგში საინჟინრო და საინფორმაციო მეცნიერებების გაერთიანებული კურიკულუმის ჩარჩოში. სტუდენტები მომზადდებიან ბიოსამედიცინო აპარატების და სისტემების დამუშავების, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების შექმნის, ბიოსამედიცინო იმპლანტანტების და მოწყობილობების, ასევე ბიოსამედიცინო სისტემების მოდელირების ამოცანების გადაწყვეტისთვის. პროგრამის მიზანია მისცეს კურსდამთავრებულებს ფართო, ყოვლისმომცველი უმაღლესი განათლება, რომელსაც ისინი გამოიყენებენ მედიცინის დარგისთვის ინოვაციური სამედიცინო ტექნიკის და ჯანდაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისთვის, ადამიანებისთვის მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად.

პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS), აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 80 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი 40 კრედიტს. პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს პერსონალურ სამუშაო გეგმას, რომლის შესახებ ინფორმაცია მისაწვდომია ელექტრონულად. პროგრამის სტუდენტები კვლევით კომპონენტს ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, რომელიც ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ან/და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ პარტნიორ ორგანიზაციაში.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2023 წლის 31 იანვრის N621446 ბრძანების თანახმად, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის შემუშავება განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ადგილზე ვიზიტის გარეშე. დოკუმენტაციის პაკეტის გაცნობისას საჭირო გახდა დამატებითი საბუთების გამოთხოვა უმაღლესი სასწავლებელიდან, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა 15.06.2023 მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. შედეგად 29.07.2023 ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გამოთხოვილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა წარმოდგენილი დასკვნა.

### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სამაგისტრო პროგრამა „ბიოსამედიცინო ინჟინერია და სამედიცინო ინფორმატიკა“ სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში არსებულ აკრედიტაციის სტანდარტებთან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ანგარიშის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასებას. ასევე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სტანდარტის შეფასება შეზღუდული იყო შეფასების ფორმით, რომელიც მხოლოდ დოკუმენტებზე მუშაობას ითვალისწინებს.

### რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- ზოგიერთ სილაბუსში მოხდეს სწავლის შედეგების დაკონკრეტება ან ახალი ფორმულირება

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოხდეს პროგრამის შედეგების ფორმულირების დახვეწა.
  - სასურველია აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა სამეცნიერო ღონისძიებებსა და ტრენინგებში.
  - სასურველია გაფართოვდეს თავისუფალი, არჩევითი კომპონენტების ჩამონათვალი.
- 
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>
- 
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე
- 
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

---

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სათაური და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი; Master of Biomedical Engineering) შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან (0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული; 0719.1.5 ბიოსამედიცინო ინჟინერია Biomedical Engineering). პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სწავლის საფეხურთან (მე-7 დონე) და ითვალისწინებს სწავლის შესაბამის სფეროს. კერძოდ, პროგრამის ძირითადი მიზანია მოამზადოს სპეციალისტები ბიოსამედიცინო ინჟინერიის და სამედიცინო ინფორმატიკის დარგში საინჟინრო და საინფორმაციო მეცნიერების გაერთიანებული პროგრამის ჩარჩოში. სტუდენტები მომზადდებიან ბიოსამედიცინო აპარატების და სისტემების დამუშავების, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების შექმნის, ბიოსამედიცინო იმპლანტანტების და მოწყობილობების, ასევე ბიოსამედიცინო სისტემების მოდელირების ამოცანების გადაწყვეტისთვის. პროგრამის მიზანია მისცეს კურსდამთავრებულებს ფართო, ყოვლისმომცველი უმაღლესი განათლება, რომელსაც ისინი გამოიყენებენ მედიცინის დარგისთვის ინოვაციური სამედიცინო ტექნიკის და ჯანდაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისთვის, ადამიანებისთვის მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სწავლის სფეროს (ბიოსამედიცინო ინჟინერია) ღრმა, სისტემური ცოდნის მიწოდებას, მის კრიტიკულ გააზრებას, რომელიც მოიცავს სფეროს უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ახალი, ინოვაციური იდეების განვითარებისათვის, უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების/პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი            | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1.1 პროგრამის მიზნები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიოსამედიცინო ინჟინერიის და სამედიცინო ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამას აქვს განცხადებული ცხრა სწავლის შედეგი, რაც შეესაბამება ECTS სახელმძღვანელოს რეკომენდაციებს. ესენია:

- პროგრამის კურსდამთავრებული იყენებს ბიოსამედიცინო ინჟინერიის და სამედიცინო ინფორმატიკის ელექტრონული ჯანდაცვის თეორიებს და პრინციპებს ჯანდაცვის სფეროში კლინიკური სამსახურის ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფისთვის;
- აანალიზებს ბიოსამედიცინო ინჟინერიისა და სამედიცინო ინფორმატიკისთვის დამახასიათებელ პრობლემებს და იყენებს გადაჭრის სპეციფიურ მეთოდებს;
- ახორციელებს კვლევით და პრაქტიკულ პროექტებს ბიოსამედიცინო ინჟინერიის და სამედიცინო ინფორმატიკის სფეროში მათემატიკის, ბიოლოგიის, საინჟინრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მეცნიერებების ცოდნის საფუძველზე;
- ატარებს ექსპერიმენტებს ცოცხალი სისტემების მდგომარეობის შესახებ;
- ამუშავებს სისტემებს, კომპონენტებს და პროცესების დიზაინს ბიოსამედიცინო ტექნიკურ სისტემებთან მიმართებაში;
- აფასებს ექსპერტული შეფასების საფუძველზე ჯანდაცვის სფეროში გამოყენებული აპარატურის და საინფორმაციო სისტემების ტექნიკურ მდგომარეობას;
- ადგენს სამედიცინო აპარატურის ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობას უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის საერთაშორისო სტანდარტებთან;



- ახაორციელებს ექიმების და ჯანდაცვის სხვა პროვაიდერების მულტიდისციპლინარულ ჯგუფში სამედიცინო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრას;
- იცავს პროფესიულ ღირებულებებს და იზიარებს ეთიკურ პასუხისმგებლობას სამედიცინო ეთიკის ნორმების უზრუნველყოფაში.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სწავლის შედეგები ფორმულირებულია აწმყო დროში, აქტიური ზმნების გამოყენებით.

ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია მოხდეს პროგრამის შედეგების ფორმულირების დახვეწა (მაგალითად, გაურკვეველია თუ რას ნიშნავს, რომ სტუდენტი ატარებს ექსპერიმენტებს ცოცხალი სისტემების მდგომარეობის შესახებ (შედეგი 4), ასევე შესაცვლელია ფორმულირება: „ამუშავეს **სისტემებს**, კომპონენტებს და პროცესების დიზაინს ბიოსამედიცინო **ტექნიკურ სისტემებთან** მიმართებაში“ (შედეგი 5); „აფასებს ექსპერტული შეფასების საფუძველზე ...“ (შედეგი 6).

პროგრამის შედეგების მიღწევა პროგრამაში შემავალი კურსების მიხედვით მოცემულია შესაბამის დოკუმენტში (პროგრამის შედეგების რუკა), რომლის თანახმად ყველა განცხადებული შედეგი იფარება პროგრამის კურსების იმპლემენტაციის შედეგად. რუკის მიხედვით პროგრამის კურსებში შედეგის შესრულების ხარისხის შეფასებაა 2 ან 3. კონკრეტული კურსი საშუალოდ 2-3 ან მეტ შედეგზე გადის. არჩევით კურსებში გაწერილი შედეგები ნაწილობრივ გადაფარვადია ან სავალდებულო კურსებით ივსება, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი არჩევითი კურსის აღებისას სტუდენტი ერთსა და იგივე შედეგებზე გადის.

სწავლის შედეგები კონკრეტული და მიღწევადია.

პროგრამის შედეგები კავშირშია პროგრამის მიზნებთან, რაც ნათლად ჩანს პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკაზე (თანდართული დოკუმენტი).

პროგრამის ზოგადი და დარგობრივი უნარები/კომპეტენციები (დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად საჭირო უნარები, კომუნიკაციის უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) მოცემულია პროგრამის აღწერილობაში, რომელიც ელექტრონულად არის მისაწვდომი (<http://biomedeng.gtu.ge/program/Master%20Geo.pdf>) , თუმცა ამ აღწერილობაში არ არის ასახული პროგრამის მოდიფიკაციის შედეგად შეტანილი ცვლილებები.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პროგრამის მიზნები და შედეგები არ შეცვლილა.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები
- პროგრამის შედეგების რუკა
- პროგრამის მიზნების და შედეგების რუკა
- პროგრამის ვებ-გვერდი

## რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოხდეს პროგრამის ზოგიერთი შედეგის ფორმულირების დახვეწა.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                     | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის თანახმად სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტის მიერ დასრულებულად (ათვისებულად) ითვლება, თუ იგი დააგროვებს არანაკლებ 120 კრედიტს (მოიცავს საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას).

პროგრამის აღწერილობის და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სასწავლო კომპონენტის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება სტანდარტული 100 ქულიანი შეფასების სქემა. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა – არანაკლებ 40. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დგინდება სილაბუსის ავტორის მიერ.

შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრის მეშვეობით.

პრაქტიკის ჩატარების და შეფასების წესი განთავსებულია სტუ ვებ-გვერდზე.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის“ მიხედვით (კადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილების დანართი 2), სადაც დეტალურადაა აღწერილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: 1. საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა - მაქსიმუმ 5 ქულა; 2. საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი - მაქსიმუმ 4 ქულა; 3. კვლევის მეთოდების გამოყენება - მაქსიმუმ 5 ქულა; 4. კვლევის შედეგების განსჯა - მაქსიმუმ 4 ქულა; 5. კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება - მაქსიმუმ 4 ქულა; 6. ნაშრომის წარდგენის უნარი და გაფორმების ხარისხი - მაქსიმუმ 3 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მისაწვდომია სტუ ვებ-გვერდზე.

მოწოდებული დოკუმენტაცია არ იძლევა საშუალებას შევაფასოთ, თუ რამდენად გამოიყენება სწავლის შედეგების ანალიზი პროგრამის გასაუმჯობესებლად. ასე მაგალითად, ის არ მოიცავს ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის მონაცემებს. ასევე აღსანიშნავია, რომ წარდგენილი (სადოქტორო პროგრამის (2 რესპონდენტი) და ინგლისურენოვანი ინფორმატიკის პროგრამის სტუდენტების (468 რესპონდენტი) გამოკითხვის შედეგები დადებითია და კურსის გაუმჯობესებისკენ მიმართულ არანაირ კომენტარს ან რეკომენდაციას არ მოიცავს.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ვებ-გვერდი
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
|------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|

1.3 პროგრამის  
სწავლის  
შედეგების  
შეფასების  
მექანიზმი



#### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტუ-ში შემუშავებული და დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რაც გათვალისწინებულია პროგრამის შედგენისას.

პროგრამის და სილაბუსების სტრუქტურა შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ერთიან წესს.

პროგრამა განთავსებული ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS), აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 80 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი 40 კრედიტს. პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს პერსონალურ სამუშაო გეგმას, რომლის შესახებ ინფორმაცია მისაწვდომია ელექტრონულად. პროგრამის სტუდენტები კვლევით კომპონენტს ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, რომელიც ხორციელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ბაზაზე ან/და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით განსაზღვრულ პარტნიორ ორგანიზაციაში. სასწავლო კომპონენტის 80 კრედიტიდან 70 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებისთვის. სწავლების მე3 სემესტრში პროგრამით გათვალისწინებულია „კლინიკური პრაქტიკა“ 5 კრედიტის მოცულობით, რომელსაც სტუდენტები გადიან ერთ-ერთ ორგანიზაციაში, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულება. თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით ასეთი ორგანიზაცია ორია, სახელდობრ შპს ინტერმედიკორჯია და შპს ემტექი. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ ერთ-ერთი 2 შემოთავაზებული არჩევითი კურსიდან - „ხელოვნური ნეირონული ქსელები მედიცინაში“ და „სარეაბილიტაციო ბიოინჟინერია“. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განვითარებისთვის და სტუდენტების ვიწრო სფეროს ინტერესების დასაკმაყოფილებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია არჩევითი კომპონენტის უფრო მეტად გაფართოება.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. ასე მაგალითად, მეორე სემესტრში შემოთავაზებული კურსი „მართვის თეორია“ არის პირველი სემესტრის კურსის „ბიოსისტემების მოდელირების“ ლოგიკური გაგრძელება; კლინიკური პრაქტიკის წინაპირობაა კურსები „ჯანდაცვის მენეჯმენტი“ და „საინფორმაციო ტექნოლოგიები მედიცინაში“. სასწავლო პროგრამის მე4 სემესტრი მთლიანად ეთმობა სამაგისტრო პროგრამაზე მუშაობასა და თეზისის დაცვას.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღებას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ვებ-გვერდი
- პრაქტიკის ხელშეკრულების დოკუმენტები

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაფართოვდეს თავისუფალი, არჩევითი კომპონენტების ჩამონათვალი

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                          | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

#### 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ყველა სასწავლო კურსი კლინიკური პრაქტიკის ჩათვლით მოიცავს 5 კრედიტს (125 სამუშაო (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) საათი). საკონტაქტო საათების განაწილება კურსების უმეტესობაში (კლინიკური პრაქტიკის გარდა) არის: 15 (სალექციო): 30

(პრაქტიკული/ ან ლაბორატორიული/ ან სასემინარო): 1 (შუალედური გამოცდა): 2 (დასკვნითი გამოცდა): 77 (დამოუკიდებელი), რაც სამუშაო საათების ხელოვნურად განაწილების შთაბეჭდილებას ქმნის. პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია ზოგადი და პროფესიული ნიშნით. პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები თავისი არსით ფარავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამ კომპონენტს ( „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“). სწავლის შედეგები უმეტეს შემთხვევაში ფორმულირებულია აწმყო დროში, აქტიური ზმნების გამოყენებით. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კურსის შედეგები მოითხოვს დაკონკრეტებას ან ახალ ფორმულირებას. მაგალითად, „სქემოტექნიკის“ კურსის სილაბუსში ერთ-ერთი სწავლის შედეგია: „იყენებს მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს“, რაც არ იძლევა ინფორმაციას თუ რა დონეზე, რა დამოუკიდებლობის ხარისხით, რა გარემოში და ა.შ. შეუძლია სტუდენტს შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენება. ანალოგიური შენიშვნა არის „ელექტრონული ჯანდაცვის სისტემების“ და „სამედიცინო სისტემების ინტერფეისების“ სილაბუსების შემთხვევაშიც. „სამედიცინო სიგნალების გამოყენებითი ანალიზის“ კურსის სილაბუსში სწავლის შედეგების აღწერისას არ ხდება აწმყო დროში ზმნების გამოყენება. მთლიანობაში სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უმეტესწილად შედარებით ახალი გამოცემებითაა წარმოდგენილი. შეფასების ფარგლებში შეუძლებელია დადგენა თუ რამდენად მისაწვდომია ლიტერატურა და რამდენად შესაბამისია მითითებული კოდები.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

#### რეკომენდაციები:

- ზოგიერთ სილაბუსში მოხდეს სწავლის შედეგების დაკონკრეტება ან ახალი ფორმულირება

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- 

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | <input type="checkbox"/>     | <input checked="" type="checkbox"/>   | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

|                                                                                        |                                         |                                     |
|----------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან            | <input checked="" type="checkbox"/> |
|                                                                                        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან   | <input type="checkbox"/>            |
|                                                                                        | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/>            |
|                                                                                        | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან     | <input type="checkbox"/>            |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები და პროცედურები დეტალურად აღწერილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში მაგისტრატურის შესახებ (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133).

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები თავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სასპეციალიზაციო გამოცდა ტარდება ტესტის ფორმით საგამოცდო ცენტრში.

ამრიგად, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი
- თვითშეფასების ანგარიში
- სტუ ვებ-გვერდი



## რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                           | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სავალდებულო კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ყველა სტუდენტის ჩართულობას კვლევით აქტივობებში. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს ინგლისური ენის შესწავლის ორ კურსს: „საქმიანი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე“ და „დარგობრივი ტექსტის თეორია და პრაქტიკა“.

სილაბუსების უმეტესობა ორიენტირებულია პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებაზე. პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება „კლინიკური პრაქტიკა“.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

## რეკომენდაციები:



- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                                                                          | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

#### 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით პროგრამის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, კერძოდ: ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ანალიზი, სინთეზი, ახსნა/განმარტება, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატები, დედუქციური მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, რაც შეესაბამება სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                    | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
